სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N 143/გ

მცხეთა *18 დეკემბერი 2023 წელი*

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი“. მე 2 მუხლის ა) ქვეპუნქტის თანახმად, ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია, შემდგომში `შემსყიდველი“, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის დიმიტრი ზურაბიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „მცხეთა დეველოპმენტი“, შემდგომში `მომწოდებელი”, წარმოგენილი მისი დირექტორის ავთანდილ დავლიანიძის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე;

1. ხელშეკრულების საგანი

1. *მცხეთის მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის შენობისათვის ავეჯის სამაგრების CPV44523000 და გამათბობლების შესყიდვა. CPV 39715220.*

№	დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა	ფასი	თანხა
1	21141 ელ. გამათბობელი	ცალი	3.00	120.000	360.000
2	21152 ელ გამათბობელი MH-2300	ცალი	1.00	125.000	125.000
3	20443 ელეკტრო ფეჩი KS2763	ცალი	1.00	80.000	80.000
4	20472 ელ. გამათბობელი KUMTEL MH-2300	ცალი	7.00	130.000	910.000

№	დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა	ფასი	თანხა
1	51323 ავეჯის სტეპლერი DEVO	ცალი	2.00	19.000	38.000
2	50035 ავეჯის სტეპლერი	ცალი	2.00	30.000	60.000
3	59101 ავეჯის სტეპლერის ტყვიები 20018	ცალი	2.00	5.000	10.000
		ჯამი (GEL):	**6.00**		**108.00**

2. საქონლის მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2023 წლის 21 დეკემბრის ჩათვლით.

2.2 ავეჯის სამაგრების CPV31321200 ღირებულებაა 108.00 ლარი.

2.3 ელექტრო გამათბობლების CPV 39715220 ღირებულებაა -1475.00 ლარი.

*2.4 ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა - **1583.00** (ერთი ათას ხუთას ოთხმოცდასამი) ლარი.*

3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

4 მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 `მომწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:

4.2 მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში, შესაბამისი ხარისხით.

4.3 ,,შემსყიდველი~ კისრულობს ვალდებულებას:

4.4 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღეში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ `მომწოდებელი~ არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, `შემსყიდველი~ წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში `შემსყიდველს~ უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

5.3 შესყიდვის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში `შემსყიდველი~ უფლებამოსილია `მომწოდებელს~ დააკისროს პირგასამტეხლო საქონლის ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.4 იმ შემთხვევაში, თუ ხელშკრულების 5.3 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებლო ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ფორს – მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და სამოქალაქო მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2 თუ `მიმწოდებელი" და `შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
10.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.
10.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11 ხელშეკრულების პირობების კონტროლი

11.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერას განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახური - მატერიალურ-ტექნიკური განყოფილების ხელმძღვანელი გია ბროძელი.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2024 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	*მიმწოდებელი:*
მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია *მის: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ.7* *სახელმწიფო ხაზინა* *ხაზინის კოდი: TRESGE22* *ა/ნ GE24NB 0330 1002 0016 5022* *ს/კ 236099789* *ტელ: 2512696* *ელ. ფოსტა: mtenderi@yahoo.com*	*შპს მცხეთა დეველოპმენტი* *მის: ქ. მცხეთა, აღმაშენებლის ქუჩა* *ს/კ 436255124* *საქართველოს ბანკი* *ბანკის კოდი: BAGAGE22* *ა/ნ GE07BG0000000101209902* *ტელ: 2512708 / 593342434* *ელ. ფოსტა: mtskhetadevelopment@gmail.com*
მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი *დიმიტრი ზურაბიშვილი*	*დირექტორი* *ავთანდილ დავლიანიძე*

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ვადასტურებ, აღნიშნულ შესყიდვაში ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება `სახელმწიფო შესყიდვების შესახებ~ საქართველოს კანონის I თავის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ პირობებს.

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი
დიმიტრი ზურაბიშვილი